

მეფუტკრე



სახელწოდება: -მეფუტკრე

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:
მესამე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

მეფუტკრის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
- მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
- ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
- ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
- საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 82 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 15 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-მეფუტკრე	2	მეფუტკრეობის პროდუქტების საწარმოო გადამუშავება	3

რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-მეფუტკრე	8	სკებისა და ჩარჩოებისაწყობა-შეკეთება	3
საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი-მეფუტკრე	5	პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა	2
მეწარმეობა	4	საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება	7	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	1
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	ფუტკრის მოვლა-პატრონობა	9	სატელეფონო გაყიდვები	5
უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4	მეფუტკრეობის პროდუქტები, მათი მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა	8	პირველადი სამედიცინო დახმარება	1
		საფუტკრე მეურნეობაში ვეტ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	7		
		შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში	3		
		საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება	3		
სულ:	15	სულ:	52	სულ:	15

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ დირექტორი საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციით. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 15კრედიტი.